ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ბრძანება:**ბ04. 3623121001**

თარიღი:**01/05/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შიდა საბიუჯეტო კალენდარის, მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების ინსტრუქციისა და რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-60 მუხლის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N24 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის შესაბამისად,

ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება-განახლებისა და 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შიდა საბიუჯეტო კალენდარი, მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების ინსტრუქცია და რეკომენდაციები თანდართული დანართების შესაბამისად (დანართები თან ერთვის);

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

3. ბრძანება ძალაშია მხარეთა გაცნობისთანავე.

პავლე ჭყონია

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი